



2023 წ.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, აგვისტო, 2023 წ.



2023 წლის იანვარ-ივნისში:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა **10,715.6 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 48.9%-ს, ხოლო 6 თვის გეგმის 106.2%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წილი, 75.0%-ის ოდენობით, მოდის **საგადასახადო შემოსავლებზე**, რომელიც, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა **9,959.8 მლნ ლარი** შეადგინა, რაც წლიური გეგმის 45.5%-ს, ხოლო 6 თვის გეგმის 98.6%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ძირითადი წილი, 78.8%-ის ოდენობით, მოდის **ხარჯებზე**, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2021-2022 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში გაზრდილია 2021 წელთან შედარებით და მცირედით შემცირებულია 2022 წელთან შედარებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვებამ **755.7 მლნ ლარი** შეადგინა და 2023 წლის 1 ივლისისთვის - **2,003.2 მლნ ლარის** ოდენობით განისაზღვრა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ** შეადგინა **1,242.3 მლნ ლარი**, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - **-152.6 მლნ ლარი**.

სარჩევი


სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები.....	1
სახელმწიფო ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების მაჩვენებლები.....	3
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	5
შემოსავლები.....	7
არაფინანსური აქტივების კლება.....	12
ფინანსური აქტივების კლება.....	12
ვალდებულებების ზრდა	13
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	15
ხარჯები.....	17
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	22
ფინანსური აქტივების ზრდა.....	23
ვალდებულებების კლება	23
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	24
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	25
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	29
ნაშთის ცვლილება.....	29
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.....	30
გამოყენებული მონაცემების წყარო:	30
დანართები.....	31
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი).....	31
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).....	32
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი).....	33

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარ-ივნისში შემოსულობების შესრულება შეადგენს 10,715.6 მლნ ლარს (წლიური გეგმის 48.9%) და წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 1,592.0 მლნ ლარით (17.4%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 9,959.8 მლნ ლარს (წლიური გეგმის 45.5%) და 1,184.7 მლნ ლარით (13.5%-ით) მეტია წინა წლის იანვარ-ივნისის მარჯვენებელთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 6 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2014-2023 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2014-2023 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია¹ 10,093.2 მლნ ლარით, ხოლო 6 თვის შესრულება მის 106.2%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 6 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლების (105.5%), ფინანსური აქტივების კლების (107.7%) და ვალდებულებების ზრდის (112.4%) კომპონენტები, ხოლო შესრულების დაბალი დონით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი (6 თვის გეგმის 82.4%).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის როგორც დამტკიცებული, ასევე დაზუსტებული გეგმა შეადგენს 10,102.0 მლნ ლარს, ხოლო 6 თვის შესრულებამ მათი 98.6% შეადგინა. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 6 თვის დამტკიცებული გეგმის 97.6%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 97.8%-ს შეადგენს. 6 თვის როგორც დამტკიცებული, ასევე, დაზუსტებული გეგმების მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები და შეადგენს შესაბამისად 6 თვის დამტკიცებული გეგმის 106.0%-ს და 134.3%-ს, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმის - 100.4%-ს და 134.4%-ს. რაც შეეხება გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელი, 6 თვის დამტკიცებული გეგმის მიმართ, დაბალი შესრულებით ხასიათდება (89.3%), ხოლო შესრულების კარგი დონით ხასიათდება 6 თვის დაზუსტებული გეგმის მიმართ (98.8%).


¹ „საქართველოს 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბრის №437 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 22 ივნისის №220 ბრძანება. ვინაიდან იანვარ-ივნისში განხორციელებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, მოხდა მხოლოდ გადასახდელების მუხლების 6 თვის გეგმების დაზუსტება, მოცემულ დოკუმენტში, გადასახდელების ნაწილში, წარმოდგენილია გადასახდელების როგორც ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული, ასევე, საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად დაზუსტებული 6 თვის გეგმები.

დასახელება	2023 წლის გეგმა	6 თვის დამტ. გეგმა	6 თვის დაფუსტ. გეგმა	6 თვის შესრულება	% 6 თვის დამტ. გეგმასთან	% 6 თვის დაფუსტ. გეგმასთან	% წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	21,914.2	10,093.2	10,093.2	10,715.6	106.2%	106.2%	48.9%
შემოსავლები	17,619.9	8,618.5	8,618.5	9,091.2	105.5%	105.5%	51.6%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	86.0	86.0	70.8	82.4%	82.4%	35.4%
ფინანსური აქტივების კლება	450.0	158.5	158.5	170.8	107.7%	107.7%	38.0%
ვალდებულებების ზრდა	3,644.3	1,230.2	1,230.2	1,382.8	112.4%	112.4%	37.9%
გადასახდელები	21,880.1	10,102.0	10,102.0	9,959.8	98.6%	98.6%	45.5%
ხარჯები	16,335.2	8,042.5	8,021.9	7,848.9	97.6%	97.8%	48.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,881.3	1,383.1	1,460.0	1,465.8	106.0%	100.4%	37.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	445.1	91.9	91.8	123.4	134.3%	134.4%	27.7%
ვალდებულებების კლება	1,218.5	584.4	528.2	521.8	89.3%	98.8%	42.8%
ნაშთის ცვლილება	34.1	-8.8	-8.8	755.7			

ცხრილი 1: 2023 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ² 6 თვეში შეადგინა 1,242.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ³ - -152.6 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 2: 2014-2023 წლების 6 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი).

2023 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი. იანვარ-ივნისში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 755.7 მლნ ლარი შეადგინა და 2023 წლის 1 ივლისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,003.2 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობამ 29,053.0 მლნ ლარი შეადგინა (მ.შ. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი - 21,191.7 მლნ ლარი; მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი - 7,861.3 მლნ ლარი).

² საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


³ მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების მაჩვენებლები

2023 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 5,815.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 914.6 მლნ ლარით მეტია I კვარტლის მაჩვენებელზე, ხოლო წინა წლის II კვარტლის მონაცემს 1,517.7 მლნ ლარით აჭარბებს. რაც შეეხება 2023 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 5,300.7 მლნ ლარს, რაც 641.6 მლნ ლარით აღემატება I კვარტლის მაჩვენებელს, ხოლო 2022 წლის II კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 792.0 მლნ ლარით.

2023 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი (5,815.1 მლნ ლარი) 2021-2022 წლების 4-ვე კვარტლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია (შემოსავლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით), შესაბამისად, 1,220.7 მლნ ლარის (26.6%-ის) და 682.8 მლნ ლარის (13.3%-ის) ოდენობით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით (მლნ ლარი)

2023 წლის აპრილ-ივნისში შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (80.3%) და გაღებულულების ზრდის მუხლით შემოსულობების (17.6%) ხარჯზე. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 41.1 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 81.0 მლნ ლარი.

რაც შეეხება 2023 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელს (5,300.7 მლნ ლარი), 2021 წლის 4-ვე კვარტლის საშუალო მაჩვენებელს 348.9 მლნ ლარით (7.0%-ით) აღემატება, ხოლო 2022 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 260.0 მლნ ლარის (5.2%-ის) ოდენობით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით




დიაგრამა 4: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლების კვარტლების მიხედვით (მლნ ლარი)

2023 წლის აპრილ-ივნისში ხარჯების შესრულებამ შეადგინა 4,080.8 მლნ ლარი, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებმა - შესაბამისად, 882.5 მლნ ლარი და 98.0 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 239.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების** მიმოხილვა, რაზეც 2023 წლის II კვარტალში მიღებული შემოსავლების 84.0%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 67.5% მოდის. კერძოდ: II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 3,923.7 მლნ ლარი, I კვარტლის მაჩვენებელზე 189.4 მლნ ლარით (4.6%-ით) ნაკლები.



წინა კვარტალთან შედარებით აღნიშნული კლება ძირითადად უკავშირდება მოგების გადასახადს (რომლის სახითაც I კვარტალში ბიუჯეტში ჩაირიცხა 229.3 მლნ ლარით მეტი⁴), აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადს (შემცირებულია 70.3 მლნ ლარით) და სხვა გადასახადებს (შემცირებულია 43.6 მლნ ლარით და -77.3 მლნ ლარს⁵ შეადგენს). რაც შეეხება დანარჩენ გადასახადებს, II კვარტალში დღგ და აქციზი, მნიშვნელოვნად, შესაბამისად, 50.2 მლნ ლარით და 96.4 მლნ ლარით, არის გაზრდილი. მცირე ოდენობით (7.2 მლნ ლარით) იმატებს იმპორტის გადასახადიც.



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, **ხარჯებს**, იგი II კვარტალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 77.0%-ს შეადგენს. 2023 წლის აპრილ-ივნისში ხარჯებმა შეადგინა 4,080.8 მლნ ლარი, რაც წინა კვარტლის მაჩვენებელს 312.8 მლნ ლარით აღემატება. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია, ძირითადად, გრანტებისა (116.5 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების (130.6 მლნ ლარით), აგრეთვე, სხვა ხარჯების (71.0 მლნ ლარით), სოციალური უზრუნველყოფისა (87.6 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (12.1 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების ზრდასთან. წინა კვარტალთან შედარებით შემცირებულია პროცენტისა (81.3 მლნ ლარით) და სუბსიდიების (23.6 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდომ** შეადგინა 587.6 მლნ ლარი, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - -253.8 მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილ-ივნისში მიღებული შემოსულობებისა (5,815.1 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (5,300.7 მლნ ლარი) გათვალისწინებით, II კვარტალში **ნაშთის დაგროვებამ** შეადგინა **514.4 მლნ ლარი**.


⁴ 31 მარტისთვის მოხდა წარდგენა მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციისა იმ პირთა მიერ, რომელთა საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი.

⁵ 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 21,914.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის 6 თვის შემოსულობების შესრულება 10,715.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 48.9%-ს და 6 თვის გეგმის (10,093.2 მლნ ლარი) 106.2%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 1,592.0 მლნ ლარით (17.4%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის გავლენით).

ნომინალურ გამოხატულებაში 2014-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები, გარდა 2016 და 2022 წლების 6 თვის შესრულებისა, ხასიათდება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით. 2014-2022 წლებში მისი წილი წლიურ შესრულებაში მერყეობდა 42.7%-სა და 51.0%-ს შორის, 2023 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელმა კი წლიური გეგმის 48.9%-ს შეადგინა.



დიაგრამა 7: 2014-2023 წლების შემოსულობების 6 თვის შესრულებები და მათი წილი წლიურ მაჩვენებლებში (მლნ ლარი)


რაც შეეხება 6 თვის გეგმის მიმართ შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, კარგი შესრულების დონით ხასიათდება შემოსავლებისა (105.5%) და ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებლები (107.7%), შემოსულობები, მიღებული არაფინანსური აქტივების კლების მუხლით, 17.6%-იანი უარყოფითი გადახრით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით - 12.4%-იანი გადაჭარბებით (საგარეო სესხების 130.0%-იანი შესრულების მაჩვენებლის გავლენით).

	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	9,123.6	21,914.2	10,093.2	10,715.6	622.4	106.2%	1,592.0	17.4%	48.9%
შემოსავლები	7,678.6	17,619.9	8,618.5	9,091.2	472.7	105.5%	1,412.6	18.4%	51.6%
გადასახადები	6,768.7	16,290.4	7,835.9	8,036.7	200.8	102.6%	1,268.0	18.7%	49.3%
გრანტები	227.3	279.6	122.3	176.9	54.6	144.6%	-50.4	-22.2%	63.3%
სხვა შემოსავლები	682.5	1,050.0	660.3	877.5	217.2	132.9%	195.0	28.6%	83.6%
არაფინანსური აქტივების კლება	131.7	200.0	86.0	70.8	-15.2	82.4%	-60.9	-46.2%	35.4%
ფინანსური აქტივების კლება	88.1	450.0	158.5	170.8	12.3	107.7%	82.7	93.9%	38.0%
ვალდებულებების ზრდა	1,225.2	3,644.3	1,230.2	1,382.8	152.6	112.4%	157.6	12.9%	37.9%
საგარეო	793.5	2,244.3	530.2	689.2	159.0	130.0%	-104.4	-13.2%	30.7%
საშინაო	431.6	1,400.0	700.0	693.6	-6.4	99.1%	262.0	60.7%	49.5%

ცხრილი 2: 2022-2023 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები (მლნ ლარი, %).


წინა წელთან მიმართებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 1,592.0 მლნ ლარით არის გაზრდილი. აღნიშნული 17.4%-იანი მატება დაკავშირებულია შემოსავლების მნიშვნელოვან (1,412.6 მლნ ლარით) ზრდასთან. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა (როგორც წესი) დაკავშირებულია მისი ძირითადი კომპონენტების - შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის

მუხლით შემოსულობების მატებასთან. 2015-2023 წლებისთვის ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი (50.4%) გაცილებით მაღალია შემოსავლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (12.1%) შედარებით, თუმცა 2023 წელს წინა წელთან შედარებით ვალდებულებების ზრდით შემოსულობები გაზრდილია 12.9%-ით, ხოლო შემოსავლები - 18.4%-ით, რაც შესაბამისად აისახება მთლიანი შემოსულობების სტრუქტურაზეც: 2023 წელს, წინა წელთან შედარებით შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში გაზრდილია 84.2%-დან 84.8%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდით შემოსულობების წილი შემცირებულია 13.4%-დან 12.9%-მდე. წინა წლების მსგავსად, 2023 წლის 6 თვეში მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.3%-ს შეადგენს (ეს მაჩვენებელი 2014-2022 წლების 6 თვეში, საშუალოდ, ასევე 2.3%-ია).



დიაგრამა 8: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (%)


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები კომპონენტების მიხედვით.



დიაგრამა 9: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

რაც შეეხება 2021-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას თვეების მიხედვით, 2021 წლის იანვარ-ივნისში მიღებული შემოსულობების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი შეადგენდა 1,563.3 მლნ ლარს, ხოლო 2022 წლის იანვარ-ივნისში - 1,520.6 მლნ ლარს. 2023 წლის 6 თვეში საშუალო ყოველთვიურმა მაჩვენებელმა 1,785.9 მლნ ლარი შეადგინა, 2021 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 14.2%-ით (222.7 მლნ ლარით), ხოლო 2022 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 17.4%-ით (265.3 მლნ ლარით) მეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 10: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

შემოსავლები

შემოსავლების სახით 2023 წლის 6 თვეში მიღებულია 9,091.2 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (8,618.5 მლნ ლარი) 105.5% და წლიური გეგმის (17,619.9 მლნ ლარი) 51.6%, წინა წლის მარჯვენებს კი 1,412.6 მლნ ლარით (18.4%-ით) აღემატება. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გადასახადები კარგი შესრულების დონით გამოირჩევა, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების შესრულებაში ვლინდება მნიშვნელოვანი დადებითი გადახრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 11: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების სახით (რომლის ხარჯზეც განხორციელდა შემოსავლების 88.4%-ის ფორმირება) 6 თვეში მოხილბებულია 8,036.7 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (7,835.9 მლნ ლარი) 102.6% და წლიური გეგმის (16,290.4 მლნ ლარი) 49.3%, წინა წლის ანალოგიურ მარჯვენებზე კი 1,268.0 მლნ ლარით (18.7%-ით) მეტი.

დასახელება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
გადასახადები	6,768.7	16,290.4	7,835.9	8,036.7	200.8	102.6%	1,268.0	18.7%	49.3%
საშემოსავლო გადასახადი	2,259.2	5,140.0	2,575.0	2,777.8	202.8	107.9%	518.7	23.0%	54.0%
მოგების გადასახადი	1,138.9	2,000.0	1,095.0	1,112.9	17.9	101.6%	-26.0	-2.3%	55.6%
დღგ	2,749.1	6,670.4	3,109.9	3,220.9	111.0	103.6%	471.9	17.2%	48.3%
აქციზი	774.6	2,100.0	803.0	964.6	161.6	120.1%	190.0	24.5%	45.9%
იმპორტის გადასახადი	52.0	130.0	55.0	71.4	16.4	129.7%	19.3	37.1%	54.9%
სხვა გადასახადები	-205.1	250.0	198.0	-111.0	-309.0	-56.0%	94.1	-45.9%	-44.4%


ცხრილი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის საგადასახადო შემოსავლები 2022-2023 წლებში (მლნ ლარი, %).

6 თვის გეგმის მიმართ ყველა გადასახადი, გარდა სხვა გადასახადისა, მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება და 101.6%-129.7%-ის ფარგლებში მერყეობს. (განსაკუთრებით, საშემოსავლო გადასახადი, დღგ და აქციზი გამოირჩევა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით - შესაბამისად, 202.8 მლნ ლარით, 111.0 მლნ ლარით და 161.6 მლნ ლარით). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 6 თვეში მისი გეგმა განისაზღვრა 198.0 მლნ ლარის ოდენობით, ფაქტობრივი მარჯვენებელი კი -111.0 მლნ ლარს შეადგენს⁶.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,268.0 მლნ ლარით (18.7%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია ძირითადად საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების ზრდით (შესაბამისად, 23.0%-ით და 17.2%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 413.3 მლნ ლარით (20.9%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ივნისში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 3,220.9 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 471.9 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან შემოსულია 408.8 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 63.1 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 24.5%-ით (190.0 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 175.5 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 125.4 მლნ ლარით (47.3%-ით) მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 12: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს თვეების მიხედვით, გადასახადები თებერვალ-მაისის თვეებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ივნისის თვეში გადასახადების მოცულობა წინა თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია (ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,080.6 მლნ ლარი, მაისის მარჯვენებელზე - 368.0 მლნ ლარით და აპრილის მარჯვენებელზე 313.9 მლნ ლარით ნაკლები, ძირითადად, სხვა გადასახადების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების გავლენით). 2023 წლის 6 თვეში გადასახადების შესრულების ყოველთვიური საშუალო მარჯვენებელი 1,339.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2022 წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მარჯვენებელზე 211.3 მლნ ლარით (18.7%-ით) მეტია, ხოლო 2022 წლის საშუალო წლიურ მონაცემს 91.4 მლნ ლარით (7.3%-ით) აღემატება. 2023 წლის 6 თვეში საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მაღალი

⁶ 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სხვა გადასახადის* მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.


მარვენებელი იანვარში დაფიქსირდა (1,488.1 მლნ ლარის ოდენობით), ხოლო ყველაზე დაბალი - ივნისში.



დიაგრამა 13: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2022-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა, განხილულ იქნას **ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**. 2023 წლის 6 თვეში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 9,509.1 მლნ ლარი შეადგინა⁷, რაც 2023 წლის საპროგნოზო წლიური მარვენებლის (18,890.0 მლნ ლარი) 50.3%-ს წარმოადგენს. 2014-2023 წლების 6 თვეში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მარვენებლები მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მიმდინარე წლის 6 თვეში გადასახადები, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი: 2015-2022 წლებში საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 11.7%-ს შეადგენს, 2023 წლის მარვენებელი კი 2022 წლის მონაცემს 18.2%-ით (1,464.0 მლნ ლარით) აღემატება (რაზეც გავლენა იქონია, ძირითადად, დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადების მნიშვნელოვანმა მატებამ).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014-2023 წლების 6 თვეში.



დიაგრამა 14: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)


• **გრანტების** ფაქტობრივი მარვენებელი (176.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 6 თვის გეგმის 144.6%-ს და წლიური გეგმის 63.3%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლებთან, რომლის სახით 6 თვეში ბიუჯეტში შემოვიდა 59.7 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 132.6%, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 6 თვეში მიღებულია 43.0 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). 6 თვეში, ასევე, გადაჭარბებით არის მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი

⁷ საანგარიშო პერიოდში ზედმეტად გადახდილი გადასახადების (დღგ) დაბრუნების მარვენებელმა შეადგინა 1,151.7 მლნ ლარი.

გრანტები 60.0 მლნ ლარის ოდენობით (104.6%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საინვესტიციო გრანტები 14.2 მლნ ლარის ოდენობით, რაც 6 თვის გეგმის 71.2%-ს შეადგენს.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გრანტების მოცულობა 50.4 მლნ ლარით (22.2%-ით) შემცირებულია. აღნიშნული კლება ძირითადად დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით 2022 წლის 6 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 61.4 მლნ ლარით მეტი.

გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 15: გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

- **სხვა შემოსავლების** სახით 2023 წლის 6 თვეში ბიუჯეტში მოხილბებულია 877.5 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (660.3 მლნ ლარი) 132.9% და წლიური გეგმის (1,050.0 მლნ ლარი) 83.6%.

	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სხვა შემოსავლები	682.5	1,050.0	660.3	877.5	217.2	132.9%	195.0	28.6%	83.6%
შემოსავლები საკუთრებიდან	473.6	621.0	468.1	621.1	153.0	132.7%	147.5	31.1%	100.0%
პროცენტები	106.5	245.0	108.6	141.8	33.2	130.6%	35.3	33.1%	57.9%
დივიდენდები	356.1	350.0	350.0	463.0	113.0	132.3%	106.9	30.0%	132.3%
რენტა	11.0	26.0	9.5	16.3	6.8	171.4%	5.3	48.1%	62.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	42.5	87.0	41.2	50.3	9.2	122.2%	7.9	18.5%	57.9%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	41.3	83.9	40.0	49.2	9.1	122.8%	7.9	19.1%	58.6%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1.2	3.1	1.2	1.2	0.0	101.1%	0.0	-2.1%	38.1%
ჭარბები, სანაწიები და საურავები	57.0	130.0	57.0	72.1	15.1	126.4%	15.0	26.4%	55.4%
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	109.4	212.0	94.0	134.0	40.0	142.6%	24.6	22.5%	63.2%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის სხვა შემოსავლების მაჩვენებლები 2022-2023 წლებში (მლნ ლარი, %).

სხვა შემოსავლების 32.9%-იანი გადაჭარბება, 6 თვის გეგმასთან შედარებით, ძირითადად მოდის საკუთრებიდან შემოსავალზე, რომელიც სხვა შემოსავლების ჯამური მაჩვენებლის 70.8%-ს შეადგენს. კერძოდ: საკუთრებიდან შემოსავლების სახით (მოიცავს რენტის, პროცენტებისა და დივიდენდების სახით შემოსავლებს) შემოსულია 621.1 მლნ ლარი, რაც 6 თვის საგეგმო მაჩვენებლს 32.7%-ით აჭარბებს (წლიური გეგმის 100.0%), საკუთრებიდან ყველა მუხლით შემოსავლების გადაჭარბებით მიღების გავლენით. პროცენტის მუხლით შემოსავლები იანვარი-ივნისის მდგომარეობით 141.8 მლნ ლარს (მ.შ. დეკორატივზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები შეადგენს 99.9 მლნ ლარს), 6 თვის გეგმის 130.6%-ს შეადგენს. დივიდენდების სახით შემოსავლები 463.0 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 132.3%-ს შეადგენს. აქედან, ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდის სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 462.8 მლნ ლარი, 112.8 მლნ ლარით მეტი, ვიდრე წლიური ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება სახელმწიფოს წილობრივი

მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდებს, ამ მიმართულებით მიღებულია 0.3 მლნ ლარი (თუმცა წლიური გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის). რენტის მუხლით შემოსავლები 16.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც 6 თვის გეგმის 171.4%-ია და წლიური საგეგმო მაჩვენებლის 62.6%-ს უტოლდება. მ.შ. სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან მიღებულია 14.3 მლნ ლარი (გასულ წელს ამ მიმართულებით ბიუჯეტში ჩაირიცხა 9.6 მლნ ლარი).


სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 15.3%, 134.0 მლნ ლარის ოდენობით, შემოსულია არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან, რაც 6 თვის გეგმის 142.6%-ია. მათ შორის, გბათსარგებლობის საფასურიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 86.7 მლნ ლარს, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 20.3 მლნ ლარს, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 7.0 მლნ ლარს.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან იანვარ-ივნისში ბიუჯეტში ჩაირიცხა 50.3 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 122.2%. ძირითადი შემოსავალი (49.2 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულ იქნა ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით. მ.შ. სანებართვო მოსაკრებლები შეადგენს 32.6 მლნ ლარს (აქედან, 31.7 მლნ ლარი შემოვიდა სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვიდან) და სახელმწიფო ბაჟი - 12.9 მლნ ლარს (მ.შ. სასამართლოებში განსახილველი საქმეებიდან მიღებულია 11.6 მლნ ლარი).

სანქციებიდან (ჯარიმები, საურავები) შემოსავალმა კი 72.1 მლნ ლარს მიაღწია, რაც 6 თვის გეგმის 126.4%-ს და წლიური გეგმის 55.4%-ს შეადგენს (მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სანქციებიდან შემოსულია 41.5 მლნ ლარი).

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სხვა შემოსავლების მოცულობა მნიშვნელოვნად, 195.0 მლნ ლარით (28.6%-ით) არის გაზრდილი, რაც უკავშირდება, ძირითადად საკუთრებიდან შემოსავლების (147.5 მლნ ლარით) 31.1%-იან მატებას (ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდის სახით 106.7 მლნ ლარით მეტი თანხის მიღების გავლენით), აგრეთვე, არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან შემოსავლების 24.6 მლნ ლარით ზრდას (აღნიშნული დიდწილად განპირობებულია გბათსარგებლობის საფასურიდან გაორმაგებული ოდენობით შემოსავლების მიღებით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში სხვა შემოსავლების შესრულება კომპონენტების მიხედვით.




დიაგრამა 16: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (70.8 მლნ ლარი) შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება და 6 თვის გეგმის 82.4%-ს (წლიური გეგმის 35.4%) შეადგენს, მ.შ. ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულია 57.8 მლნ ლარი (აქედან, ივნისის თვეში მიღებულია 33.9 მლნ ლარი), ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) რეალიზაციიდან - 13.0 მლნ ლარი.

რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებას, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 60.9 მლნ ლარით (46.2%-ით) არის შემცირებული. აღნიშნული დაკავშირებულია ძირითადი აქტივების, კერძოდ, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების, გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობებთან, რომლის სახითაც მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტში მიღებულ იქნა 51.2 მლნ ლარი, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში - 103.3 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2014-2023 წლების 6 თვეში.




დიაგრამა 17: არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) 6 თვეში მიღებულია 170.8 მლნ ლარი, რაც 6 თვის გეგმის 107.7%-ს (წლიური გეგმის 38.0%) შეადგენს. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების მოცულობა, მნიშვნელოვნად, 82.7 მლნ ლარით (93.9%-ით) არის გაზრდილი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2014-2023 წლების 6 თვეში⁸.



დიაგრამა 18: ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)

⁸ 2014 წლის ოქტომბრამდე მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, 2014 წლის ფინანსური აქტივების კლების 6 თვის მაჩვენებლებში (ნაშთის გამოკლებით), კერძოდ, ვალუტისა და დეპოზიტების მუხლში, გათვალისწინებულია წინა წელს გამოსყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები, რომელიც მოქმედი კლასიფიკაციით აღირიცხება სხვა შემოსავლებში.

ვალდებულებების ზრდა

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებმა იანვარ-ივნისში 1,382.8 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 112.4% (წლიური გეგმის 37.9%) შეადგინა. 6 თვის გეგმასთან შედარებით აღნიშნული 12.4%-იანი ზრდა ძირითადად განაპირობა საგარეო წყაროდან ბიუჯეტში საინვესტიციო კრედიტების 29.6%-იანი გადაჭარბებით მიღებამ. კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 689.2 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 130.0%). მ.შ. ძირითადი თანხები შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 687.1 მლნ ლარის ოდენობით (რაც გეგმის მაჩვენებელზე 157.0 მლნ ლარით მეტია), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით მიღებულია 2.0 მლნ ლარი (თუმცა 6 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ არის).

	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2023 წლის 6 თვის გეგმა		2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება		შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
					სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
ვალდებულებების ზრდა	1,225.2	3,644.3	1,230.2	1,382.8	152.6	112.4%	157.6	12.9%	37.9%
საბარემო	793.5	2,244.3	530.2	689.2	159.0	130.0%	-104.4	-13.2%	30.7%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	260.7	400.0		2.0	2.0		-258.6	-99.2%	0.5%
საინვესტიციო კრედიტები	532.9	1,844.3	530.2	687.1	157.0	129.6%	154.3	29.0%	37.3%
საშინაო	431.6	1,400.0	700.0	693.6	-6.4	99.1%	262.0	60.7%	49.5%

ცხრილი 5: 2022-2023 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის 6 თვის მაჩვენებლები (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს, საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების გამოშვებით⁹ მიღებულმა თანხამ 1,497.2 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 803.6 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად წმინდა შემოსულობა 693.6 მლნ ლარს (6 თვის გეგმის 99.1%-ს) შეადგენს.


2020-2021 წლების 6 თვის მაჩვენებლებთან შედარებით, 2023 წლის ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა მკვეთრად შემცირებულია: 2015 - 2019 წლებში, 6 თვის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული კომპონენტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 27.7%-ს შეადგენს, 2020 წელს ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 340.7%-ს აღწევს, 2021 წელს ზრდა 26.7%-ია, ხოლო 2022 წელს აღნიშნული შემოსულობების მოცულობა, მკვეთრად, 65.3%-ით მცირდება (საგარეო ვალდებულებების მნიშვნელოვანი კლების გავლენით), 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა ისევ იმატებს 12.9%-ით (ერთი მხრივ, საგარეო ვალდებულებების 104.4 მლნ ლარით კლებისა და მეორე მხრივ, საშინაო ვალდებულებების 262.0 მლნ ლარით მატების შედეგად).

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 2015-2022 წლებში, 6 თვის მონაცემებით, საგარეო დაფინანსების წყაროდან მოზიდული სახსრები აღემატება საშინაო წყაროდან მიღებულს და ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურაში საშუალოდ 73.1%-ს შეადგენს. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში კი საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მცირედით (4.4 მლნ ლარით) აჭარბებს საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებულ შემოსულობებს და ვალდებულებების ზრდის ჯამური მოცულობის 50.2% შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა.

⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2023 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 30 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1,440.3 მლნ ლარის მოცულობით, აქედან სახაზინო ობლიგაციები გამოშვებული 1,200.3 მლნ ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე.წ. „ბენმარკ ბონდებს“.


საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 19: საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები წინა წელთან შედარებით (მიუხედავად საინვესტიციო კრედიტების 29.0%-ინი ზრდისა), შემცირებულია 13.2%-ით, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მნიშვნელოვანი შემცირების გავლენით (რომლის სახით წინა წელს ბიუჯეტში ჩაირიცხა 260.7 მლნ ლარი, ხოლო მიმდინარე წელს - 2.0 მლნ ლარი).

საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 20: საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია 21,880.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის 6 თვის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 9,959.8 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 45.5%-ს, 6 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმის (10,102.0 მლნ ლარი) 98.6%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მარჯვენებელზე 13.5%-ით (1,184.7 მლნ ლარით) მეტია.

ნომინალურ გამოხატულებაში 2014-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის მარჯვენებელი, გარდა 2022 წლისა, ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014-2022 წლებში მისი წილი წლიურ შესრულებაში მერყეობდა 42.6%-სა და 50.7%-ს შორის, 2023 წლის 6 თვის შესრულების მარჯვენებელმა კი წლიური გეგმის 45.5% შეადგინა.



დიაგრამა 21: 2014-2023 წლების გადასახდელების 6 თვის შესრულებები და მათი წილი წლიურ მარჯვენებლებში (მლნ ლარი, %).


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებები 2022-2023 წლების 6 თვეში. როგორც ცხრილშია ასახული, ხარჯების, შესრულების მარჯვენებელი 6 თვის დამტკიცებული გეგმის 97.6%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 97.8%-ს შეადგენს. შესრულების მაღალი დონით ხასიათდება არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი. კერძოდ, აღნიშნული კომპონენტის შესრულება 6 თვის დამტკიცებული გეგმის 106.0%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 100.4%-ს შეადგენს. შესრულების მაღალი დონით ხასიათდება, ასევე, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი. კერძოდ, აღნიშნული კომპონენტის შესრულება 6 თვის დამტკიცებული გეგმის 134.3%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 134.4%-ს შეადგენს. 6 თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულების კარგი დონით, ხოლო დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება ვალდებულებების კლების კომპონენტი. კერძოდ, მისი შესრულება 6 თვის დამტკიცებული გეგმის მიმართ შეადგენს 89.3%-ს, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმის მიმართ - 98.8%-ს.

დასახელება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის დამტკ. გეგმა	2023 წლის 6 თვის დაზუსტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	6 თვის შესრულება / 6 თვის დამტკ. გეგმა		6 თვის შესრულება / 6 თვის დაზუსტ. გეგმა		შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით
						სხვაობა	%	სხვაობა	%	
გადასახდელები	8,775.2	21,880.1	10,102.0	10,102.0	9,959.8	-142.1	98.6%	-142.1	98.6%	45.5%
ხარჯები	7,004.4	16,335.2	8,042.5	8,021.9	7,848.9	-193.7	97.6%	-173.1	97.8%	48.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,179.9	3,881.3	1,383.1	1,460.0	1,465.8	82.7	106.0%	5.8	100.4%	37.8%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	87.5	445.1	91.9	91.8	123.4	31.5	134.3%	31.6	134.4%	27.7%
ვალდებულებების კლება	503.3	1,218.5	584.4	528.2	521.8	-62.7	89.3%	-6.5	98.8%	42.8%

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2022-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2014-2023 წლების 6 თვეში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 22: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2023 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 6,006.5 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების ზრდით. თუმცა, თუ განვიხილავთ აღნიშნული კომპონენტების წილს მთლიან გადასახდელებში, ნათლად ჩანს, რომ ხარჯების წილი კლების ტენდენციით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. კერძოდ, 2014 წლის 6 თვეში, გადასახდელების 85.3%-ს შეადგენდა ხარჯები, ხოლო გადასახდელების 5.8%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. აღნიშნული მაჩვენებლები, 2023 წლის 6 თვეში, შეადგენს შესაბამისად 78.8%-სა და 14.7%-ს. ამასთან, აღსანიშნავია რომ, 2014-2023 წლებში, გადასახდელების 6 თვის შესრულებაში, ხარჯების წილის საშუალო მაჩვენებელი 79.9%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.8%-ს შეადგენს.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების სარგებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება:


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 23: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2014-2023 წლების 6 თვეში (%).

რაც შეეხება 2021-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებას თვეების მიხედვით, 2021 წლის იანვარ-ივნისში გაწეული გადასახდელების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი შეადგენდა 1,674.2 მლნ ლარს, ხოლო 2022 წლის - 1,462.5 მლნ ლარს. 2023 წლის იანვარ-ივნისში საშუალო ყოველთვიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,660.0 მლნ ლარი, 2021 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 0.8%-ით (14.2 მლნ ლარით) ნაკლები, ხოლო 2022 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 13.5%-ით (197.4 მლნ ლარით) მეტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით



დიაგრამა 24: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2021-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების იანვარ-ივნისის შესრულება მოიცავს **დამატებით 6 პროგრამულ კოდს**, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 03) – 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 10) – 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 56 00) – 0.5 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 63 00) – 0.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ (პროგრამული კოდი - 55 13 13) – 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) – 23.7 ათასი ლარის ოდენობით.

ხარჯები


2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, **ხარჯების**, 2023 წლის 6 თვის შესრულება (7,848.9 მლნ ლარი) ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

დასახელება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის დაბტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის დაბტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	6 თვის შესრულება / 6 თვის დაბტ. გეგმა		6 თვის შესრულება / 6 თვის დაბტ. გეგმა		შესრულდა 6 თვის დაბტ. გეგმასთან მიმართებით
						სხვაობა	%	სხვაობა	%	
ხარჯები	7,004.4	16,335.2	8,042.5	8,021.9	7,848.9	-193.7	97.6%	-173.1	97.8%	48.0%
შრომის ანაზღაურება	865.7	2,236.7	1,112.1	1,064.4	1,030.6	-81.4	92.7%	-33.8	96.8%	46.1%
საქონელი და მომსახურება	877.2	2,025.5	1,045.3	1,054.1	987.2	-58.1	94.4%	-66.9	93.7%	48.7%
პროცენტი	352.2	1,201.0	564.6	541.1	533.2	-31.4	94.4%	-7.9	98.5%	44.4%
სუბსიდიები	330.8	927.6	440.7	445.2	424.3	-16.5	96.3%	-21.0	95.3%	45.7%
გრანტები	392.7	1,275.8	584.6	559.2	541.5	-43.1	92.6%	-17.7	96.8%	42.4%
სოციალური უზრუნველყოფა	3,021.7	6,447.9	3,179.7	3,250.8	3,250.3	70.6	102.2%	-0.5	100.0%	50.4%
სხვა ხარჯები	1,164.1	2,220.7	1,115.5	1,107.1	1,081.8	-33.7	97.0%	-25.3	97.7%	48.7%

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2022-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2014–2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 25: ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

2023 წლის 6 თვეში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის შესრულებამ 1,030.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის დამტკიცებული გეგმის (1,112.1 მლნ ლარი) 92.7%-ს, 6 თვის დაზუსტებული გეგმის (1,064.4 მლნ ლარი) 96.8%-ს და წლიური გეგმის (2,236.7 მლნ ლარი) 46.1%-ს შეადგენს. აღნიშნული შესრულება 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 164.9 მლნ ლარით მეტია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდის ტემპს 2015-2022 წლების 6 თვეში, აღნიშნული მაჩვენებელი (საშუალო ზრდის ტემპი) 4.4%-ს შეადგენს, 2022 წლის 6 თვესთან შედარებით, 2023 წლის 6 თვის მაჩვენებელი კი 19.0%-ით არის გაზრდილი.

2014-2023 წლების 6 თვეში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის შესრულების წილმა როგორც ხარჯებში, ასევე, გადასახდელებში, ყველაზე დაბალი ნიშნული 2021 წლისთვის შეადგინა, შესაბამისად, 12.3%-ის და 8.0%-ის ოდენობებით. ხოლო 2023 წლისთვის შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი შეადგენდა 13.1%-ს და 10.3%-ს შესაბამისად.

2014-2023 წლების 6 თვეში შრომის ანაზღაურების შესრულება და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში



დიაგრამა 26: 2014-2023 წლების 6 თვეში შრომის ანაზღაურების შესრულება და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %).

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის 6 თვის შესრულება შეადგენს 987.2 მლნ ლარს, შესრულების ყველაზე დაბალი დონით ხასიათდება 6 თვის დაზუსტებული გეგმის მიმართ და მის 93.7%-ს შეადგენს, ხოლო დამტკიცებული გეგმის 94.4%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წლიური გეგმის (2,025.5 მლნ ლარი) 48.7%-ს შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მონაცემს 110.0 მლნ ლარით (12.5%-ით) აღემატება.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით, 2023 წლის 6 თვეში, ხარჯები მიიმართა შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 236.5 მლნ ლარი;
- ✓ მივლინება - 34.4 მლნ ლარი;
- ✓ ოფისის ხარჯები - 160.0 მლნ ლარი;
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 11.9 მლნ ლარი;
- ✓ კვების ხარჯები - 58.8 მლნ ლარი;
- ✓ სამედიცინო ხარჯები - 38.4 მლნ ლარი ლარი;
- ✓ რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 50.4 მლნ ლარი;
- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 71.3 მლნ ლარი;
- ✓ სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 19.0 მლნ ლარი;
- ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 306.5 მლნ ლარი.

„პროცენტის“ მუხლის შესრულება (533.2 მლნ ლარი) 6 თვის დამტკიცებული გეგმის 94.4%-ს შეადგენს, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმის - 98.5%-ს. „პროცენტის“ მუხლის შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის (1,201.0 მლნ ლარი) 44.4%-ია და 2022 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელს 181.0 მლნ ლარით (51.4%-ით) აღემატება. აღნიშნული მუხლიდან საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 316.9 მლნ ლარი, ხოლო საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 216.2 მლნ ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლის შესრულება - 424.3 მლნ ლარი, შესრულების მაღალი დონით ხასიათდება 6 თვის დამტკიცებული გეგმის მიმართ და მის 96.3%-ს შეადგენს, ხოლო დაზუსტებული გეგმის მიმართ შეადგენს 95.3%-ს. აღნიშნული შესრულება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 93.4 მლნ ლარით (28.2%-ით) აღემატება, ხოლო წლიური გეგმის 45.7%-ს შეადგენს. „სუბსიდიების“ მუხლიდან 2023 წლის 6 თვეში ხარჯი ძირითადად გაიწია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებზე „ერთიანი აგროპროექტი“ (პროგრამული კოდი - 31 05) – 139.1 მლნ ლარი და „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია“ (პროგრამული კოდი - 31 06) – 13.0 მლნ ლარი; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამაზე „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“ (პროგრამული კოდი - 33 07) – 88.9 მლნ ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაზე „მენარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 68.1 მლნ ლარი; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 25 02) – 21.5 მლნ ლარი, „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 04) – 8.2 მლნ ლარი და „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 25 05) – 7.5 მლნ ლარი; საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებზე „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 16.6 მლნ ლარი, „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 12.3 მლნ ლარი და „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 03) – 9.9 მლნ ლარი; საქართველოს საპატრიარქოზე (პროგრამული კოდი - 45 00) – 14.5 მლნ ლარი.


6 თვის „გრანტების“ მუხლის შესრულება - 541.5 მლნ ლარი, შესრულების ყველაზე დაბალი დონით ხასიათდება 6 თვის დამტკიცებული გეგმის მიმართ და მის 92.6%-ს შეადგენს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 96.8%-ს შეადგენს. აღნიშნული შესრულება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 148.8 მლნ ლარით (37.9%-ით) აღემატება, ხოლო წლიური გეგმის 42.4%-ს შეადგენს. „გრანტების“ მუხლით ხარჯი ძირითადად გაიწია: „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე“ (პროგრამული კოდი - 55 04) - 378.3 მლნ ლარის ოდენობით; სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელზე (პროგრამული კოდი - 42 00) – 50.6 მლნ ლარი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებზე „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 22.3 მლნ ლარი, „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 16.2 მლნ

ლარი და „განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა“ (პროგრამული კოდი - 32 01) – 5.3 მლნ ლარი; „საერთაშორისო პარტნიორობით თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსურ მხარდაჭერაზე“ (პროგრამული კოდი - 55 12) – 16.8 მლნ ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაზე „მწარმოების განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 14.0 მლნ ლარი; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამაზე „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 03) – 7.5 მლნ ლარი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაზე „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა „(პროგრამული კოდი - 31 01)“ – 5.8 მლნ ლარი.

რაც შეეხება მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტებს, 2023 წლის 6 თვეში „გრანტების“ შესრულებიდან (541.5 მლნ ლარი) 179.1 მლნ ლარი წარმოადგენს მიმდინარე გრანტს, ხოლო 362.4 მლნ ლარი - კაპიტალურ გრანტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური გრანტების შესრულება 2014-2023 წლების 6 თვეში.

მიმდინარე და კაპიტალური გრანტები 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 27: მიმდინარე და კაპიტალური გრანტები 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)

ხარჯების შესრულების თითქმის ნახევარი (41.4%) მოდის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულებაზე (3,250.3 მლნ ლარი), რომელიც აღნიშნული მუხლის წლიური გეგმის 50.4%-ს შეადგენს. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 6 თვის როგორც დამტკიცებულ, ასევე დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 102.2%-ის და 100.0%-ის ოდენობებით. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელი 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 228.6 მლნ ლარით (7.6%-ით) აღემატება. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულებიდან დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (2,424.7 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე (576.6 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (179.5 მლნ ლარი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებსა და ხარჯებში 2014-2023 წლების 6 თვეში.

2014-2023 წლების 6 თვეში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში




დიაგრამა 28: 2014-2023 წლების 6 თვეში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება და მისი წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის შესრულება 2014-2023 წლების 6 თვეში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2023 წლისთვის აღწევს. 2014 წლის 6 თვესთან შედარებით 2023 წლის 6 თვის შესრულება 2.7-ჯერ არის გაზრდილი. რაც შეეხება მის წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, აღნიშნული მაჩვენებელიც ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა 2023 წლისთვის შემცირდა შესაბამისად 32.6%-მდე და 41.4%-მდე.


2023 წლის იანვარ-ივნისში „სხვა ხარჯების“ მუხლით განეული ხარჯები (1,081.8 მლნ ლარი) 6 თვის დამტკიცებული გეგმის (1,115.5 მლნ ლარი) 97.0%-ს, დაბუსტებული გეგმის (1,107.1 მლნ ლარი) 97.7%-ს და წლიური გეგმის (2,220.7 მლნ ლარი) 48.7%-ს შეადგენს. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 82.3 მლნ ლარით (7.1%) ჩამორჩება. 2023 წლის იანვარ-ივნისში „სხვა ხარჯების“ მუხლიდან მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯის დასაფინანსებლად მიიმართა 569.6 მლნ ლარი და კაპიტალურ ტრანსფერებზე, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 276.3 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2014-2023 წლების 6 თვეში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლით განეული მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების შესახებ ინფორმაცია.



დიაგრამა 29: ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლის შესრულება 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს თვეების მიხედვით, 2023 წლის 6 თვეში ხარჯების შესრულების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი 1,308.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მაჩვენებელს 140.7 მლნ ლარით (12.1%-ით) აღემატება, ხოლო 2022 წლის საშუალო წლიურ მონაცემს 29.0 მლნ ლარით (2.3%-ით) აღემატება. 2023 წლის 6 თვეში ხარჯების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაისში დაფიქსირდა - 1,420.4 მლნ ლარის ოდენობით.



დიაგრამა 30: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2022-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).


არაფინანსური აქტივების ზრდა

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი - 1,465.8 მლნ ლარი, შესრულების კარგი დონით გამოირჩევა როგორც 6 თვის დამტკიცებული (1,383.1 მლნ ლარი), ისე დაზუსტებული (1,460.0 მლნ ლარი) გეგმების მიმართ და მათ 106.0%-ს და 100.4%-ს შეადგენს შესაბამისად. არაფინანსური აქტივების ზრდის 6 თვის შესრულება წლიური გეგმის 37.8%-ია, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 285.9 მლნ ლარით (24.2%-ით) აღემატება. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (764.8 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (184.6 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (91.4 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (79.5 მლნ ლარი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (56.0 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (50.2 მლნ ლარი).

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 2023 წლის 6 თვეში, ძირითადი წილი მოდის ძირითადი აქტივების კომპონენტის შესრულებაზე. კერძოდ, 2023 წლის 6 თვის შესრულებიდან (1,465.8 მლნ ლარი) ძირითად აქტივებზე მიიშრება 1,445.9 მლნ ლარი, მატერიალურ მარაგებზე - 4.1 მლნ ლარი, ფასეულობებზე - 0.5 მლნ ლარი და არანაშრომებულ აქტივებზე - 15.3 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში.


არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 31: არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებას თვეების მიხედვით, 2023 წლის 6 თვეში შესრულების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი 244.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მაჩვენებელს 47.7 მლნ ლარით (24.2%-ით) აღემატება, ხოლო 2022 წლის საშუალო წლიურ მონაცემს 31.1 მლნ ლარით (11.3%-ით) ჩამორჩება. 2023 წლის 6 თვეში არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აპრილში დაფიქსირდა 319.4 მლნ ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 2022-2023 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 32: არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 2022-2023 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდა

ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი - 123.4 მლნ ლარი, შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა 6 თვის როგორც დამტკიცებული (91.9 მლნ ლარი), ასევე დაზუსტებული გეგმების (91.8 მლნ ლარი) მიმართ და მათ 134.3%-ს და 134.4%-ს შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის:

- საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 14) - 33.4 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 08) – 1.1 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი 24 19) - 3.0 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
 - ✓ „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 25 04) - 80.8 მლნ ლარის ოდენობით;
 - ✓ „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 25 05) - 4.7 მლნ ლარის ოდენობით.
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 0.4 მლნ ლარის ოდენობით.



დიაგრამა 33: ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)

ვალდებულებების კლება

ვალდებულებების კლების კომპონენტის მაჩვენებელი (521.8 მლნ ლარი) 6 თვის დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით შეადგენს მათ 89.3%-ს და 98.8%-ს შესაბამისად. აღნიშნული შესრულება წლიური გეგმის 42.8%-ს შეადგენს. ვალდებულებების კლების

	6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის დამტკ. გეგმასთან	შესრულება 6 თვის დაზუსტ. გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	521.8	89.3%	98.8%	42.8%
საგარეო	497.1	88.9%	98.7%	42.3%
საშინაო	24.6	98.9%	100.0%	57.4%


ცხრილი 8: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2023 წლის 6 თვეში (მლნ ლარი, %)

შესრულების დიდი წილი მოდის სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების დაფარვაზე, 497.1 მლნ ლარის ოდენობით. 2023 წლის 6 თვეში ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელი წინა წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელს 18.4 მლნ ლარით (3.7%-ით) აღემატება. (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“).

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია¹⁰

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრულია 20,216.5 მლნ ლარის ოდენობით, 6 თვის დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 9,425.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმა - 9,481.9 მლნ ლარის ოდენობით. იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 9,314.6 მლნ ლარი (6 თვის დამტკიცებული გეგმის 98.8%, დაზუსტებული გეგმის 98.2% და წლიური გეგმის 46.1%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2023 წლის 6 თვის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



დიაგრამა 34: 2023 წლის 6 თვის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (მლნ ლარი).


როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2023 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებები მიიმართა შემდეგ 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებებზე: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს 2014-2023 წლების 6 თვის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მიხედვით ფუნქციონალურ ქრილში:

2020-2022 წლების 6 თვეში 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებაში შედიოდა „ჯანმრთელობის დაცვა“ ნაცვლად „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებისა“. „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება“ 2020-2022 წლების 6 თვეში მე-5 პოზიციას იკავებდა მიმართულებებს შორის სიდიდის მიხედვით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2014-2022 წლების 6 თვეში „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების“ მიმართულებით გაწეული გადასახდელების საშუალო მაჩვენებელი 798.8 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის 6 თვეში აღნიშნულმა 1,234.5 მლნ ლარი შეადგინა.

¹⁰ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.


ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 35: ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

2023 წლის 6 თვეში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეული გადასახდელებიდან (9,314.6 მლნ ლარი) 71.6% მოდის ზემოაღნიშნულ 4 მსხვილ მიმართულებაზე (სოციალურ დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, განათლება და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება). 2014-2023 წლების 6 თვეში, აღნიშნული მიმართულებები ძირითადად ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია ზემოთდასახელებული მიმართულებების შესრულება 2014-2023 წლების 6 თვეში:

სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 36: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, განათლება და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების დამტკიცებული ჯამური მოცულობა განისაზღვრა 3,985.8 მლნ ლარის დონეზე, რომელთა შორის ყველაზე მოცულობითია: „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 55 01)“ – 1,696.0 მლნ ლარი; „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 55 02)“ – 715.0 მლნ ლარი; „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 55 04)“ - 515.0 მლნ ლარი; „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (პროგრამული კოდი - 55 07)“ – 400.0 მლნ ლარი; „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი - 55 11)“ - 310.0 მლნ ლარი და „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (პროგრამული კოდი - 55 13)“ – 211.0 მლნ ლარი.

„საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 799.3 მლნ ლარს, ხოლო 6 თვის დაბუსტებული გეგმა - 719.8 მლნ ლარს. შესრულებამ 711.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის დამტკიცებული გეგმის 89.0%-ია, დაბუსტებული გეგმის 98.8%-ია, ხოლო წლიური გეგმის 41.9%-ია. აღნიშნული შესრულებიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა 494.9 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 216.2 მლნ ლარი.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 37: საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი, %).

„საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ 6 თვის დამტკიცებული და დაბუსტებული გეგმა შეადგენს, 344.0 მლნ ლარს. შესრულებამ 338.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის დამტკიცებული და დაბუსტებული გეგმების 98.5% და წლიური გეგმის 47.4%-ია. აღნიშნული შესრულებიდან საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა 22.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 316.9 მლნ ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 38: საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი, %).

2023 წლის იანვარ-ივნისში **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“** შესრულებამ 158.3 მლნ ლარი შეადგინა, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე სრულად მიიმართა ქვეპროგრამაზე - „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 55 04 02)“.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობების და 6 თვის ათვისების შესახებ ინფორმაცია:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები



დიაგრამა 39: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები (მლნ ლარი).

საანგარიშო პერიოდში „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების“ შესრულებამ 179.5 მლნ ლარი შეადგინა. რაც წლიური გეგმის 57.9%-ს, ხოლო 6 თვის დამტკიცებული გეგმის (152.5 მლნ ლარი) 117.7%-ს და დაზუსტებული გეგმის (179.5 მლნ ლარი) 100.0%-ს შეადგენს.

2023 წლის 6 თვეში „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების“ ფარგლებში შესრულებამ 1.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 0.9 მლნ ლარი მიიმართა პროექტზე „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა“, 0.4 მლნ ლარი მიიმართა პროექტზე „ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD)“, 0.2 მლნ ლარი მიიმართა პროექტზე „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში (აჭარის სატყეო სააგენტოს კომპონენტი) (KfW)“ და 44.2 ათასი ლარი მიიმართა პროექტზე „აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო (EU, KfW)“.

„ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების (პროგრამული კოდი - 55 04)“ შესრულებამ, 2023 წლის იანვარ-ივნისში, 378.3 მლნ ლარი შეადგინა (6 თვის დაზუსტებული გეგმის 97.8%) და პროგრამული კოდების - „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (პროგრამული კოდი 55 13 05)“ და „საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 55 12)“ - ფარგლებში გაცემულ კაპიტალურ გრანტებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემული ტრანსფერები ჯამურად 395.3 მლნ ლარით განისაზღვრა, საიდანაც 154.8 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 230.2 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 10.3 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს.


საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ანალიზისას საინტერესოა „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდისა“ და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ შესრულების მაჩვენებლების განხილვა 2023 წლის 6 თვისთვის.

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ დამტკიცებული ოდენობა განსაზღვრულია 60.0 მლნ ლარის ოდენობით და მსგავსად „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა“, შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე სხვადასხვა ღონისძიებებზე იქნა გადანაწილებული. 2023 წლის 6 თვეში აღნიშნული ფონდის შესრულებამ შეადგინა 19.5 მლნ ლარი, საიდანაც ათვისება მოხდა შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში: „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია“ (პროგრამული კოდი 04 00) – 7.2 მლნ ლარი; „არჩევნების ჩატარების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 06 04) – 6.7 მლნ ლარი; „საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა“ (პროგრამული კოდი 28 01 01) – 2.1 მლნ ლარი; „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“ (პროგრამული კოდი 55 04 02) – 1.5 მლნ ლარი; „სახელმწიფო ფინანსების მართვა“ (პროგრამული კოდი 23 01) – 0.8 მლნ ლარი; „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ (პროგრამული კოდი 22 00) – 0.6 მლნ ლარი; „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში

პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (პროგრამული კოდი 27 01 01) – 0.4 მლნ ლარი; „საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 09 01) – 0.1 მლნ ლარი და „საქართველოს პროკურატურა“ (პროგრამული კოდი 21 00) – 36.2 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობების და 6 თვის ათვისებების შესახებ ინფორმაცია:

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები




დიაგრამა 40: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2014-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები (მლნ ლარი).

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ დამტკიცებული ოდენობა განსაზღვრულია 20.0 მლნ ლარით. 2023 წლის 6 თვეში აღნიშნული ფონდის შესრულებამ შეადგინა 2.7 მლნ ლარი, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე სრულად მიიმართა ქვეპროგრამაზე - „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 55 04 02)“.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ 2016-2023 წლების დამტკიცებული მოცულობების და 6 თვის ათვისებების შესახებ ინფორმაცია:

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის 2016-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები



დიაგრამა 41: მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის 2016-2023 წლების დამტკიცებული მოცულობები და 6 თვის ათვისებები (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო


ნაშთის ცვლილება

2023 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,247.5 მლნ ლარი შეადგინა, იანვარ-ივნისში ნაშთის დაგროვების გათვალისწინებით, 2023 წლის 1 ივლისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთის მოცულობამ შეადგინა 2,003.2 მლნ ლარი. საანგარიშო პერიოდში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 755.7 მლნ ლარი. კერძოდ:

- 2023 წლის 6 თვის გეგმის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 10,093.2 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა - 10,102.0 მლნ ლარი. შესაბამისად, 6 თვის გეგმების გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენება განისაზღვრა 8.8 მლნ ლარის ოდენობით.
- 2023 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირდა შემოსულობების მობილიზების მაღალი მაჩვენებელი - 6 თვის გეგმასთან შედარებით 622.4 მლნ ლარით მეტი, ხოლო გადასახდელების ნაწილში, 6 თვის გეგმასთან შედარებით, ჩამორჩენამ შეადგინა 142.1 მლნ ლარი. შესაბამისად, 2023 წლის 6 თვეში, ნაცვლად 8.8 მლნ ლარის ოდენობით ნაშთის გამოყენებისა, მოხდა ნაშთის დაგროვება 755.7 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2014-2023 წლების 6 თვეში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2014-2023 წლების 6 თვეში




დიაგრამა 42: სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2023 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 1,242.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -152.6 მლნ ლარი. 2014-2023 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის (მთლიანი სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნომინალურ გამოსახულებაში დაფიქსირდა 2021 წელს, რაც დაკავშირებულია, წინა წლებთან შედარებით, როგორც ხარჯების, ისე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით განეული გადასახდელების ზრდასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2014-2023 წლების 6 თვეში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო 2014-2023 წლების 6 თვეში



დიაგრამა 43: სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2014-2023 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს 2014-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2014-2023 წლებში იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2022-2023 წლების იანვარ-ივნისში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 6 თვის შემოსულობა	2022 წლის 6 თვის შემოსულობა	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის ლამბ. გეგმა*	2023 წლის 6 თვის დაზუსტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შემოსულობა	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 6 თვის დამოკიდებულ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 6 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით	2023 წლის 6 თვის შემოსულობა / 2022 წლის 6 თვის შემოსულობა	
										სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	9,379.6	9,123.6	21,914.2	10,093.2	10,093.2	10,715.6	48.9%	106.2%	106.2%	1,592.0	17.4%
შემოსავლები	5,692.3	7,678.6	17,619.9	8,618.5	8,618.5	9,091.2	51.6%	105.5%	105.5%	1,412.6	18.4%
გადასახადები	5,004.8	6,768.7	16,290.4	7,835.9	7,835.9	8,036.7	49.3%	102.6%	102.6%	1,268.0	18.7%
საშემოსავლო გადასახადი	1,564.1	2,259.2	5,140.0	2,575.0	2,575.0	2,777.8	54.0%	107.9%	107.9%	518.7	23.0%
მოგების გადასახადი	556.7	1,138.9	2,000.0	1,095.0	1,095.0	1,112.9	55.6%	101.6%	101.6%	-26.0	-2.3%
დღგ	2,176.0	2,749.1	6,670.4	3,109.9	3,109.9	3,220.9	48.3%	103.6%	103.6%	471.9	17.2%
აქციზი	754.3	774.6	2,100.0	803.0	803.0	964.6	45.9%	120.1%	120.1%	190.0	24.5%
იმპორტის გადასახადი	39.2	52.0	130.0	55.0	55.0	71.4	54.9%	129.7%	129.7%	19.3	37.1%
სხვა გადასახადები	-85.4	-205.1	250.0	198.0	198.0	-111.0	-44.4%	-56.0%	-56.0%	94.1	-45.9%
გრანტები	248.6	227.3	279.6	122.3	122.3	176.9	63.3%	144.6%	144.6%	-50.4	-22.2%
სხვა შემოსავლები	438.9	682.5	1,050.0	660.3	660.3	877.5	83.6%	132.9%	132.9%	195.0	28.6%
არაფინანსური აქტივების კლება	95.4	131.7	200.0	86.0	86.0	70.8	35.4%	82.4%	82.4%	-60.9	-46.2%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	60.8	88.1	450.0	158.5	158.5	170.8	38.0%	107.7%	107.7%	82.7	93.9%
ვალდებულებების ზრდა	3,531.1	1,225.2	3,644.3	1,230.2	1,230.2	1,382.8	37.9%	112.4%	112.4%	157.6	12.9%
საგარეო	3,894.9	793.5	2,244.3	530.2	530.2	689.2	30.7%	130.0%	130.0%	-104.4	-13.2%
საშინაო	-363.8	431.6	1,400.0	700.0	700.0	693.6	49.5%	99.1%	99.1%	262.0	60.7%
გადასახადები	10,044.9	8,775.2	21,880.1	10,102.0	10,102.0	9,959.8	45.5%	98.6%	98.6%	1,184.7	13.5%
ხარჯები	6,534.2	7,004.4	16,335.2	8,042.5	8,021.9	7,848.9	48.0%	97.6%	97.8%	844.4	12.1%
შრომის ანაზღაურება	802.1	865.7	2,236.7	1,112.1	1,064.4	1,030.6	46.1%	92.7%	96.8%	164.9	19.0%
საქონელი და მომსახურება	758.4	877.2	2,025.5	1,045.3	1,054.1	987.2	48.7%	94.4%	93.7%	110.0	12.5%
პროცენტი	418.3	352.2	1,201.0	564.6	541.1	533.2	44.4%	94.4%	98.5%	181.0	51.4%
სუბსიდიები	333.9	330.8	927.6	440.7	445.2	424.3	45.7%	96.3%	95.3%	93.4	28.2%
გრანტები	289.7	392.7	1,275.8	584.6	559.2	541.5	42.4%	92.6%	96.8%	148.8	37.9%
სოციალური უზრუნველყოფა	2,935.7	3,021.7	6,447.9	3,179.7	3,250.8	3,250.3	50.4%	102.2%	100.0%	228.6	7.6%
სხვა ხარჯები	996.0	1,164.1	2,220.7	1,115.5	1,107.1	1,081.8	48.7%	97.0%	97.7%	-82.3	-7.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,067.3	1,179.9	3,881.3	1,383.1	1,460.0	1,465.8	37.8%	106.0%	100.4%	285.9	24.2%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	204.0	87.5	445.1	91.9	91.8	123.4	27.7%	134.3%	134.4%	35.9	41.0%
ვალდებულებების კლება	2,239.4	503.3	1,218.5	584.4	528.2	521.8	42.8%	89.3%	98.8%	18.4	3.7%
საგარეო	2,195.8	478.5	1,175.6	559.5	503.6	497.1	42.3%	88.9%	98.7%	18.7	3.9%
საშინაო	43.7	24.9	42.9	24.9	24.6	24.6	57.4%	98.9%	100.0%	-0.2	-0.9%
ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - გამოყენება)	-665.4	348.4	34.1	-8.8	-8.8	755.7					

* 6 თვის დამტკიცებული გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ივნისის №220 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2021 წლის 6 თვის შესრულება	2022 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის გეგმა	2023 წლის 6 თვის დამტკ. გეგმა	2023 წლის 6 თვის დაგუსტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 6 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით	შესრულება 6 თვის დაგუსტებულ გეგმასთან მიმართებით	2023 წლის 6 თვის შესრულება / 2022 წლის 6 თვის შესრულება	
										სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	5,692.3	7,678.6	17,619.9	8,618.5	8,618.5	9,091.2	51.6%	105.5%	105.5%	1,412.6	18.4%
გადასახადები	5,004.8	6,768.7	16,290.4	7,835.9	7,835.9	8,036.7	49.3%	102.6%	102.6%	1,268.0	18.7%
გრანტები	248.6	227.3	279.6	122.3	122.3	176.9	63.3%	144.6%	144.6%	-50.4	-22.2%
სხვა შემოსავლები	438.9	682.5	1,050.0	660.3	660.3	877.5	83.6%	132.9%	132.9%	195.0	28.6%
ხარჯები	6,534.2	7,004.4	16,335.2	8,042.5	8,021.9	7,848.9	48.0%	97.6%	97.8%	844.4	12.1%
შრომის ანაზღაურება	802.1	865.7	2,236.7	1,112.1	1,064.4	1,030.6	46.1%	92.7%	96.8%	164.9	19.0%
საქონელი და მომსახურება	758.4	877.2	2,025.5	1,045.3	1,054.1	987.2	48.7%	94.4%	93.7%	110.0	12.5%
პროცენტი	418.3	352.2	1,201.0	564.6	541.1	533.2	44.4%	94.4%	98.5%	181.0	51.4%
სუბსიდიები	333.9	330.8	927.6	440.7	445.2	424.3	45.7%	96.3%	95.3%	93.4	28.2%
გრანტები	289.7	392.7	1,275.8	584.6	559.2	541.5	42.4%	92.6%	96.8%	148.8	37.9%
სოციალური უზრუნველყოფა	2,935.7	3,021.7	6,447.9	3,179.7	3,250.8	3,250.3	50.4%	102.2%	100.0%	228.6	7.6%
სხვა ხარჯები	996.0	1,164.1	2,220.7	1,115.5	1,107.1	1,081.8	48.7%	97.0%	97.7%	-82.3	-7.1%
საოპერაციო სალდო	-841.9	674.2	1,284.7	576.0	596.6	1,242.3	96.7%	215.7%	208.2%	568.2	84.3%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	971.9	1,048.2	3,681.3	1,297.1	1,374.0	1,395.0	37.9%	107.5%	101.5%	346.8	33.1%
ზრდა	1,067.3	1,179.9	3,881.3	1,383.1	1,460.0	1,465.8	37.8%	106.0%	100.4%	285.9	24.2%
კლება	95.4	131.7	200.0	86.0	86.0	70.8	35.4%	82.4%	82.4%	-60.9	-46.2%
მთლიანი სალდო	-1,813.8	-374.0	-2,396.6	-721.1	-777.4	-152.6	6.4%	21.2%	19.6%	221.4	-59.2%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-522.1	347.9	29.2	-75.4	-75.4	708.4	2425.7%	-939.8%	-939.2%	360.5	103.6%
ზრდა	204.0	435.9	479.2	91.9	91.8	879.2	183.5%	956.8%	957.3%	443.2	101.7%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	348.4	34.1	0.0	0.0	755.7	2216.0%			407.3	116.9%
სესხები	204.0	87.5	445.1	91.9	90.7	122.3	27.5%	133.1%	134.9%	34.8	39.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	1.1			97.0%	1.1	
კლება	726.1	88.1	450.0	167.3	167.3	170.8	38.0%	102.1%	102.1%	82.7	93.9%
ვალუტა და დეპოზიტები	665.4	0.0	0.0	8.8	8.8	0.0		0.0%	0.0%	0.0	
სესხები	60.6	87.2	450.0	158.5	158.5	170.8	38.0%	107.7%	107.7%	83.6	95.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.2	0.9	0.0	0.0	0.0	0.0				-0.9	-100.0%
ვალდებულებების ცვლილება	1,291.7	721.8	2,425.8	645.8	702.0	861.0	35.5%	133.3%	122.7%	139.2	19.3%
ზრდა	3,531.1	1,225.2	3,644.3	1,230.2	1,230.2	1,382.8	37.9%	112.4%	112.4%	157.6	12.9%
საშინაო	-363.8	431.6	1,400.0	700.0	700.0	693.6	49.5%	99.1%	99.1%	262.0	60.7%
საგარეო	3,894.9	793.5	2,244.3	530.2	530.2	689.2	30.7%	130.0%	130.0%	-104.4	-13.2%
კლება	2,239.4	503.3	1,218.5	584.4	528.2	521.8	42.8%	89.3%	98.8%	18.4	3.7%
საშინაო	43.7	24.9	42.9	24.9	24.6	24.6	57.4%	98.9%	100.0%	-0.2	-0.9%
საგარეო	2,195.8	478.5	1,175.6	559.5	503.6	497.1	42.3%	88.9%	98.7%	18.7	3.9%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0					

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის დამტკ. გეგმა	2023 წლის 6 თვის დაზუსტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 6 თვის შესრულება 6 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 6 თვის შესრულება 6 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	21,880.1	10,102.0	10,102.0	9,959.8	45.5%	98.6%	98.6%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	77.5	39.0	40.2	35.7	46.1%	91.6%	88.8%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	63.7	32.1	33.3	29.9	46.9%	93.2%	89.8%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდეველო საქმიანობა	23.5	11.8	9.8	9.7	41.3%	82.3%	98.4%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მუშორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	7.9	3.9	4.2	3.7	47.0%	93.9%	87.8%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	32.4	16.4	19.2	16.5	50.9%	100.8%	85.8%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	32.4	16.4	19.2	16.5	51.0%	100.9%	85.9%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.03	0.03	0.01	24.8%	49.6%	49.6%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.0	6.0	5.9	5.0	42.0%	83.8%	85.1%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.6	0.3	0.3	0.2	37.0%	72.9%	72.9%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.1	0.6	0.7	0.5	47.4%	92.7%	80.2%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.3	5.2	5.2	4.4	46.9%	84.0%	84.0%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.8	0.4	0.4	0.3	42.0%	84.0%	84.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	24.0	12.4	22.0	18.6	77.4%	150.3%	84.5%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21.3	11.4	11.4	9.8	45.8%	85.5%	85.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	56.0	30.2	42.0	37.3	66.6%	123.4%	88.7%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	10.3	10.3	9.5	44.1%	92.2%	92.2%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	1.0	1.0	0.7	43.9%	70.7%	70.7%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	6.4	6.4	6.4	50.0%	100.0%	100.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	20.0	12.5	24.3	20.7	103.3%	165.3%	85.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	5.8	3.1	3.1	2.5	43.5%	81.3%	81.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	16.1	8.3	8.3	7.2	44.7%	86.7%	86.7%
09 00	საერთო სასამართლოები	117.0	51.6	52.0	44.0	37.6%	85.3%	84.7%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	114.5	50.3	50.7	43.3	37.8%	86.1%	85.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	1.3	1.3	0.7	26.9%	53.8%	53.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	7.9	4.2	4.2	2.4	29.9%	55.7%	55.7%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.3	0.7	0.7	0.6	45.7%	86.0%	86.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.6	0.5	42.7%	81.6%	81.6%

კოდი	დასახელება	2023 წლიური გეგმა	2023 წლის 6 თვის დამტკ. გეგმა	2023 წლის 6 თვის დაზუსტ. გეგმა	2023 წლის 6 თვის შესრულება	2023 წლის 6 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 6 თვის შესრულება 6 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში %	2023 წლის 6 თვის შესრულება 6 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში %
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ქიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.3	0.7	0.7	0.6	48.6%	88.4%	88.4%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.6	0.6	48.6%	91.6%	89.4%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.6	0.4	41.4%	75.7%	75.7%
